ამასთან აღსანიშნავია, რომ კრიმინალისტის განცხადებით, გასროლა უნდა მომზდარიყო არანაკლებ 100-200 მმ მანძილიდან და ზემოთ, რადგან არ შეიჩინება ბჟენითა და ახლო მანძილისთვის დამახასიათებელი დაზიანებები, აღნიშნულს ადასტურებს ქ. როსტოკში ჩატარებული ექსპერტიზა. ამ ექსპერტიზის დასკვნაში ნოქვამია ტყვიის მოძრაობის მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდნ ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, რაზედაც მოუთითებს შემავალი და გამომავალი ხვრელები. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, ავტომატული პისტოლეტის „სტეჩინის“, რომლის წინა დამუხტულ მდგომარეობაში 1420 გრამია, ხელში დაჭრის თვითმკვლელობის მიზნით, ლულით 100-200 მმ მანძილზე და ისე, რომ ტყვიის მიმართულება იყოს მარჯვნიდან მარცხნივ, ზემოდნ ქვემოთ, წინიდან უკან, ფიზიკურად შეუძლებელია. ვთქვათ, თვითმკვლელობის მიზნით, ავტომატური პისტოლეტი „სტეჩინი“ განხორციელებულიყო საფეხულის არეში სროლა იმ მიმართულებით, როგორც აღნერილია ქ. როსტოკში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში, მსროლელი (ამ შემთხვევაში თვითმკვლელი) იძულებული იქნებოდა, მიეტანა იარაღის ლულა თავის ქალასთან, რაც უმეტეს შემთხვევაში, გამოიწვევდა საფეხულისა და სალისებრი ძვლის განგრევას ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან გამოტყორცნილი აირების მეშვეობით, რომლის წევა ლულაში შეადგენს 1200-2000 კგ/სმ<sup>2</sup> და ლულის გარეთ ეცემა გავრცელების მანძილის შესაბამისად. აღნიშნული მოქმედება ასევე გამოიწვევდა დიდი რაოდენობის სისხლისა და სხვადასხვა სხეულის ნანილაკების გამოდინება-გამოფრქვევას შემავალი და გამომავალი ხერელებიდან, რაც მოწმეთა ჩვენებებსა და ასევე საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებულ მასალებში არ ფიგურობს. ასევე აღსანიშნავია, როდ დაკარგული დანაშაულის იარაღი, გასროლის ტყვიის ლულა, მასრა, განადგურებულია ყველა ის მტკიცებულება შემთხვევის ადგილიდან, რომელიც საქმეზე ბიძიებურ ჭეშმარიტებას დაადგენდა. ასევე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეში, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნანილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომიებლის ო. ჯაფარიძის 18.05.2001 წერილში ვკითხულობთ: რობიზონ (რობერტ) მარგველანის თქმით, ზვიად გამსახურდიდან თავი მოიკლა „სტეჩინის“ კონსტრუქციის მაცურიანი პისტოლეტით, რომელიც ამოღებული და გამოკლეული არ ყოფილა.

დაჭერისა და სროლის განხორციელების შესაძლებლობას იმ კუთხით, რომელზედაც მონმეტები და ქალაქ როსტოკში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა მიუთითებს. სხვათა შორის, მაყუჩისარსებობაზე გარკვეულწლიად მიუთითებს თვითონ რობიზონ მარგველანისა და კარლო ლურნეკაისა მეუღლის, ლუდმილა აბშილავას განცხადებები, რომ მათ შემოესმათ სროლის ყრუ ხმა, რაც სწორედ მაყუჩიანი იარაღიდან განხორციელებულ გასროლაზე მიუთითებს.

- მტკიცებულებები პრეზიდენტის თანხმლებმა პირებმა გაანადგურეს?

- იარაღის გარდა, დანაშაულის ყველა კვალი განადგურებულია განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საგნეზბის ის მონაცემთები, სადაც ძნელია სისხლის კვალის განადგურება - იატკის ლარები, პლინთუსების ქვეშ, ტანსაცმლის ნაკერები, ლილები და ჯიბის სარჩული. სისხლის გუბის მკეთრი საზღვრები მიუთითებს გვამის პირველადი მდგომარეობის შეუცვლელობაზე. მონმეტები კი ერთმანეთისგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღწერენ მიცვალებულს, რაც არანაირად დამაჯერებელი არ არის.

## 1. თვითმსილველები პრეზიდენტის გვამს აღწერენ



სხვადასხვაგვარად. მისი მდგომარეობით დაწყებული ჩატყულობით დამთავრებული. რობინზონ მარგველანი და შალვა (ბატუკა) გვანცელადებუთითებენ, რომ პრეზიდენტს იარაღიანი ხელი მუცელზე ჰქონდა დადებული, ხოლო კარლო ღურნეაია აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს მარჯვენა ხელი გაშლილ მდგომარეობაში საწოლიდან გადმოვარდნილი ჰქონდა.

2. შემთხვევისადგილზე სისხლისარარსებობა სხეულის დაზიანებისას, რომელიც სისხლდენას ინვენტ მიუთითებს იმაზე, რომ გვამი გადატანილია დანაშაულის ადგილიდან, რასაც საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში აღნიშნავს ნუკრი ღურნეაია. მისი თქმით, პრეზიდენტის სხეულზე სისხლის კვალი მისთვის შეუმჩრეველი დარჩა.

3. გვამის ტანსაცმელზე ახალი და გამშრალი სისხლის ნაღვენთები ნარმოქმნება გვამის გადატრიალებისას. სხეულის ორევისას ტანსაცმელზე ზოლად ნარმოქმნება ლაქა წანაცხების სახით. რომელ კუჭუნიძის ჩვენებით, პრეზიდენტს გარდაცვალების დროს როგორიც ტანსაცმელიც ეცვა, ნახა გარეცხილი, ქალაქ ბათუმში შალვა (ბარუე) გვანცხლადექსთან. აღნიშნული მოქმედებით განადგურდა სისხლის კვალი.

4. სხეულის დაზიანების მომენტში დაზარალებულის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნაზე შეიძლება მიუთითობდეს ტანსაცმლებზე ვერტიკალური ჩამონაღვენიებისა და ფენსაცმლებზე წვეთისებური ლაქების არსებობა. აღსანიშვავია, რომ პრეზიდენტს ფენსაცმლი არ ეცვა, თუ ვერ ჩააცეს (იბ. 1994 წლის 17

5. სისხლის გუბის არსებობა მიანიშნას დოფ

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯონსონ  
კვარაცხელიას პროკურატურისთვის 1999 წლის 12  
თებერვალს მიცემული ჩვენებით, ასევე რობიზონ  
მარგველანის 1997 წლის 22-27 თებერვალს მიცემული  
ჩვანებით. გარდა ავლიოლი პრეზიდენტის ორივა ლიბია.

ხილულადან ჯიხაშეკარში გადასცენების შემდეგ, დიზელის დასხმით დაწვა და განათენურდა ჯონსონ ევარაცხელიას ეზოში. მოწმეთა არც ერთ ჩვენებაში მიითიერული არ არის, თუ სად გაქრა პრეზიდენტის საბანი, ხოლო რაც შეეხება პრეზიდენტის ბალიშს, იგი ვითომ რელიევის სახით, ინახებოდა ძეველ ხიბულაში, ღურულკაიას ოჯახში. ოჯახის დიასახლისის ლუფდილა აბშილავა-ღურულკაიას 1999 წლის 5 თებერვალს პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებით, ხლების განმავლობაში მან პრეზიდენტის ბალიში დაშალა, გარეცხა და შეუცვალა პირი. ამის შემდეგ აღნიშნული განახლებული ბალიში 2004 წლის საქართველოს მთავრმა პროკურატურამ ამოილო და საქმეში ინახება, როგორც ნივთმტკიცება.

რაც შეეხება პრეზიდენტის ტანსაცმლის, პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრის ბადრი გოგელაშვილის ინფორმაცით, მან ის მიღლო პრეზიდენტის დაცვის უფროსის რობიზონ მარგველანისგანა, რომელმაც გოგელაშვილს განუცხადა, რომ პრეზიდენტის ტანსაცმელი ჩაუტანა ქალაქ ბათუმში ქალბატონ ლამარა კერვალიშვილს. იყო თუ არა აღნიშნულ ტანსაცმელშე სისხლის ლაქები, მისთვის უცნობია. შემდეგ მან შეიტყო ისევ რობიზონ მარგველანისგან, რომ ეს ტანსაცმელი მან ჩაიტანა უკვე თბილიში, რეზიდენტის ოჯახისთვის გადასაცემად. შემდეგ მარგველანის თოხოძით, ბადრი გოგელაშვილმა პირადად დაურეკა პრეზიდენტის ვაჟს, ცოტნე გამსახურდისა და მთახსენა, რომ მისთვის რობიზონ მარგველანს სურდა პრეზიდენტის ტანსაცმლის გადაცემა, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა, მაგრამ ცოტნე გამსახურდია მოულოდნელად რუსეთში გაემგზავრა და მისთვის ტანსაცმლის გადაცემა ვერ მოხერხდა, ხოლო რა ბედი ენა შედგომში ტანსაცმელს, ბადრი გოგელაშვილისთვის უცნობია. 2011 წლის 17 იანვარს, ლამარა კერვალიშვილის საპარლამენტო გამოყითხვისას, პრეზიდენტის კუთვნილი ტანსაცმლიდან მისი ყურადღება მიიცია მოყავისფრი ზოლებიანმა ნაქსოვმა ჯემპრმა, რომელზედაც აღინიშნებოდა დიდი ზომის სისხლის ლაქა კისრის არქში და მცირე ზომის სისხლის ლაქა მარცხენა სახელოზ. ასევე ნაცრისვერ შარვალზე, უკან, სათავესთან აღნიშნებოდა მცირე ზომის სისხლის ლაქა. რობიზონ მარგველანი საპარლამენტო გამოყითხვაში ასენებს ჯემპრს, რომელიც პრეზიდენტს გარდაცვალების მომენტში ეცვა, როგორ დაგვუშვებო, რომ ეს, მართლაც, ასე იყო, გაუგებარია, რომ სისხლმდებარილობა, შემავალი და გამომავალი, როგორ შეიძლება მეტი მოცულობის სისხლის კვალს არ ტოვებდეს პრეზიდენტის სამოსზე, ვიდრე ზემოაღნიშნულ გამოყითხვაშია მითითებული. ლამარა კერვალიშვილის შეკითხვაზე, სად წავიდა ის ტანსაცმელი, რომელშიც, მთავარი მოწმების თქმით, პრეზიდენტმა თავი მოიკლა, მარგველანმა განაცხადა, რომ ეს ტანსაცმელი მათ პრეზიდენტს სასვენებელში ჩატანეს. აღნიშნულ ჯემპრსა და შარვალზე რობიზონ მრაველანს ლამარა კერვალიშვილთან საუბრისას არაფერი უთქვამს.

- რატომ არ დაინიშნა ექსპრეტიზა გროზნოში, იქ ხომ არ იყო შევარდნაძის ხელისუფლება, რომელსაც ჰქონდა პრატისტიზმის თავის პრემიერობით?

- სანაბ პრეზიდენტის ცხებარს გროზნოში  
გადასვენებდნენ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ  
შევარდნაძე ჯოპარ დუდაევს შეხვდა. ბუნებრივია,  
ჩეჩენები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე  
მოქმედებდნენ და სახელმიწოს ზეიად გამსახურდიას  
ვერ გადასყოლებდნენ. ზეიადი ცოცხალი აღარ იყო და  
ისინი უკეთ იძულებულნი იყვნენ, ახალი რეალობისთვის  
გაესწორებინათ თვალი... შესძლებელია, მანანა არჩვადე  
აღარ ენდობოდა დუდაევს, რომელსაც შევარდნაძესთან  
ურთიერთობის დალაგების სურვილი გაუჩნდა. მართალია,  
დუდაევი ზეიად გამსახურდიას მხარს უჭრდა, თუმცა  
მისი დამარცხების შემდეგ უნდა შეგუებოდა აზრს,  
რომ შევარდნაძესთან თანამშრომლობა მოუწევდა,  
ამდენად მანანა არჩვადე, ალბათ, არ ენდობოდა იქაურ  
ექსპერტიასაც.

- კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, ნინა ხელისუფლების პირობებში, კომისიის მასალები პროკურატურას გადაუგზავნა, თუმცა გამოძიების განახლების სურვილი მაშინ არავის გამოყოფებამს. დღეს თუ გაქვთ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ჩელური მიზეზის დასადგენად გამოძიების დაწყების მომთხოვნის

- კომისიის დასკვნას პროექტურატურის მხრიდან დღემდე არაგითარი რეაგირება არ მოყოლია. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებათა ნაწილი განადგურებულია, საქმის გახსნა მაინც შესაძლებელია. თანაც ჩენ რიგითი ადგმიანის კი არა, პრეზიდენტის გარდაცვალების გამოძიებაზე ვსაუბრობთ. კომისიას მოწმეების საზღვარგარეთიდან ჩამოყალიბების უფლება არ აქვს, თუმცა პროექტურატურას შეუძლია ამის გაკეთება... არსებობს ეჭვი, კინ არის ზვიად გამსახურდის მევლელობის დამკეთი, პრეზიდენტს რუსებიც დასდევდნენ მოსაკლავად, მაგრამ უფიქრობ, ყველაფერი ქვეყნის შიგნით დაიგეგმა. გია გულუა ხმაბოლლა აცხადებდა - ზვად გამსახურდია „ზოადისტების“ ხელით უნდა მოყვდესო, თუმცა დარწმუნებული ვარ, მხოლოდ რიგითი მაღალჩინოსნები არ საქმეს ვერ განახოციელებდნენ. გამოძიებამ მთავარი დამკეთის ვინაობა უნდა დაადგინოს, რაც არც ისე როოთა

ნუარცვ /Source: <http://www.ambebi.ge/politika/92299>

## **დავით თარსეან-მოურავის ცრუ პატრიოტიზმის გამო**

ინაშვილო, რომ მე მინდა მაგ შენს ტელევიზიაში მოსვლა და დაჯდომა და ამას იმიტომ ვწერ.

ვიცი, რაც არის ეს ინაშვილი და მისი ბოლოების ქწევაც მინახია. ამ ქალს მაშინ დაეჯერებოდა და მიეტევებოდა, თუ ის მალევე გაეცლებოდა შევარდნაძის ტელევიზიას, თუ ის დაინახავდა, რომქართლისგასატიალებლად იყო შევარდნაძე მოსული. ის ბოლომდე შერჩა ამ მუდამ სახელგატეხილ ტელეარხს და ქვეყანას შევარდნაძის სიქელეს უმტკიცებდა. ის იყო შევარდნაძის პერსონალური ჟურნალისტი, როგორც კოკა ყანდიაშვილი, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ ივანიშვილის კანცელარიაში იშოგა სამსახური. ინაშვილი რომ ამხელს, მაგალითად, ჟურნალისტ გიორგი თარგამაძეს, თავად რითი არის მასზე მეტი? შენ გაჯობა ინაშვილო ამ ციცქანა კაცმა თვალთმაჯდომით. თავისი პარტუკელაც შექმნა და პარლამენტშიც იყო გამძვრალი. განა მას სიმართლის გამო ამხელ. ნეტავი ასე ყოფილიყო. მერე კიდევ, კახა კუკავას ამხელ, რომ მოსმენების სამსახურში შეშაობდათ. ეს მან თავადვე თქვა და ბევრჯერ დაინერა კიდეც წინა ნლებში. მსტომარი იყო თავისი სამსახურით კახა კუკავა. 2012 წლის მოდგომაზე პატიმრების წამებაზე ლაპარაკით პირის მოსანენდი ნახე შენ და სულ ეს იყო. საქართველოს ტელეარხები ქვეყნის მტერია და ამტომ შენი ეს თავადმოდება ამ კადრებს ჩვენებაში დიდ ერისსქალობად გამოჩნდა ქართულ ჟურნალისტიკაში. ეს მხოლოდ შენი ხვანჯი იყო, რომ შევარდნაძის ძველმა ტელემშევალმა თავი მარჩევნე ქართველთა დიდ სირცეზილზე პათეტიკური ლაპარაკით.

რასაც აქ ვამბობ თარხან-მოურავის  
პარტიაზე, რომ მიხვიდე და ეს პირში  
მიახალო ინაშვილს, კანკალს დაიწყებს,  
რომ აი, პროვოკატორი მომიგზავნეს და  
მისთანანი. არაფერი განსხვავება არ არის  
ივანიშვილის მთავრობასა და პარლამენტში  
გაკვეთებულ კარიერისტ ქალებსა და  
ინაშვილს შორის. ჩამოასხით და მიეცით  
ინაშვილს ლენტიანი მედალი, წმინდანების  
სახელობის ორდენებიც ინაშვილს  
არგვენეთ. მეტად ძეგრია ეს ინაშვილი  
სატელევიზიო ერისეალობას. ქალს ცოდნა  
არ აქვს და ამა თუ იმ საგანზე ლაპარაკობს.  
ინაშვილის სამეცნიეროში არიან ბოლომით  
გატენილი უტიფარი უურნალისტები,  
მაგალითად, ერთი გაზეთის, „საქართველო და მსოფლიოს“  
რედაქტორი, ირაკლი თოდუა. ეს თოდუა სატაკიმასხრო

უკურნალისტებივის ტიპური წარმომადგენელია. 90-იან წლებში ის იყო გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მასახარა მეორე მისებრ მასახარა ვანო პავლიაშვილთან ერთად. ის დასცინოდა გამასახურდისას და მის იჯახს, ატრიუზავებდა ყველას და ყველაფერს, ამერიკანისტობდა და ლიბერალობდა. შემდეგ ეს თოდეუა გადაპრუნდა, რუსული ორიენტაციის გაზეთში რედაქტორად გაძერა და ახლა საპირისპიროს იმტკიცება ეს დაქორიავებული მორალისტი და ძევლი ჯამბაზი. ეს თოდეუა, სადაც ფულს უხდიონ, იქ იჯღაბენება. არანაირი პრინციპი, არანაირი მრჩნამსი მას არ აქვს. „ობიექტურიში“ სიმართლე გულმართლობით კი არა, არამედ ანგარებისა და მიმინდოის აუკუნიბის მიზნით იღების, თარისან-მოურავის

მარტინ გაცურების მაზრით ითქმის. თაოხას-შოურავის ლათაიგბითა და პოლიტკორექტულობით არ ეშველება საქართველოს. განა რწმენით, განა მართალყოფნის წესით ლაპარაკობენ ქართველი თავისივე მოდგმის მოხელეთა უთვალავ უკეთურებაზე, არამედ ანგარებითა და შურით, როცა თავად არ მიუწვდებათ ხელი ხაზიაზე. ქართული დანერსებულებები იყო და დარჩა ძალადობისა და სიცრუის ბუდედ. ქართული პარლამენტარიზმი არის უსამართლობისა და კორუფციის სინონიმი. დავიანგარიშოთ, რამდენი მძრღდ. დოლარი იქნა დახარჯული პარლამენტზე 1992 წლიდან და რა გააკეთა ამ დანერსებულებამ ამხელა ხარჯის სანაცვლოდ? ქართველების მერამდენ წყება გაიყიდა ერთ გაძლიმაზე? ამაში ერთნი არიან სააკაშვილი და მისი მამხილებელი გუბაზ სანიკიძე. რა არ თქვეს ივანიშვილის ქვეყნის სათავეში მოსვლისას, როგორ არ თქვეს და ბოლოს ისევ ის ქართული ამბავი დადგა.

ივანიშვილის პოლიტიკურზე ხშირად ლაპარაკობენ „ობიექტიყვში“. რამდენიმე სიტყვას ვიტყვი მასზე: 2012 წლის ოქტომბერშივე, ახალმოსულ მთავრობას დაეტყო, რომ ის ტყურიდა, რომ ის არას გააკეთებდა საკაშვილის რეჟიმს ამოსაძირკვად. ყველა ახალი მინისტრის ლაპარაკი თავიდანვე გამიზნული იყო იმის ჩასაფარცხად და მისაჩუმათებლად რაც მოხდა საკაშვილის მმართველობისას. ეს აშერად ჩნდა. არ მჯეროდა ივანიშვილის პოლიტიკოსობისა და დავწერე კიდევ ამაზე მის მოხვდამდე. ის ვერ იტანს კრიტიკას. მის გარშემო არის დიდი ხროვა მაამებლებისა და მედროვეების. ივანიშვილის შემთხვევშიც იგდე წესი მოქმედებს, რაც შევარღნაძის დროიდან იყო. ყველაფერი პირიქით უნდა გაიგო, რაც ითქმის. უკუღმა დარჩა ყველაფერი საქართველოში. ისევ ისე პანთეონებში მარხავენ ძველ ნამარდებს. ხომ ბევრს იმდეულობდნენ, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველაფერი შეიცვლებოდა. აქამდე თუ არ შეიცვალა, ოქტომბრის არჩევნებს იმიზეზებდნენ. მთელი წელი ტყუილებში გაიყვანეს. 2013 წლის მთელი გაზაფხულ-ზაფხული და შემოდგომა გავიდა ლაპარაკობენ

და ლამირობაში. ვერცვინ გაასამართლეს. ბოლოომდე ვერ მიიყვანეს ვერც ერთი საქმე. მართლები არიან, ძალაუფლება უპყრიათ და მაინც არ აქვთ სამართლის აღსრულების თავი. 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ბევრჯერ ითქვა, რომ „პროკურატურა 24 საათი მუშაობს“. სადაა ამ 24-საათიანი მუშაობის შედეგები?

ივნისშვილის ახალმოსვლისას კაზინოების გაუქმებაზე იყო ღამპარავი. არ გააუქმებენ. ბიუჯეტი აქედან ივსება. ეკონომიკა არაა ქვეყანაში და ბიუჯეტს რაღაც უნდა ისახოთ; პრეზიდენტი კაზინოების კორპუსის მიმართ



ქონებას ამ ხელისუფლების ზეობისას. არავინ გამოიძებს თბილისელი ბობოლების ქონების წარმომავლობას, რადგან მთელი საქართველო საავაზაკო და ცოდვის ბუდეა. რიყებზე რომ შემის ხიდი დგას, იმის აღებასაც იქადიდა ივანეშვილი. ქვეყნის სახელწოდების შეცვლაზეც იყო ლაპარაკი. მინისტრი ფანჯაიკიძეს იყო ასეთი აზრი. ბარემ ფანჯაიკორჯვია და გურამა-იბერია დაარქვთ და კამათელი უგორძე. საგარეო საქმეთა მინისტრი მაის ფანჯაიკიძე ძელი შევარდნობა. მისა მამც და დედაც შევარდნისინი იყვნენ.

სანთელი უნდა დაუნთონ ქართველებმა ამერიკას, რადგან იქიდან მოტანილი პოლიტტექნიკოლოგიით დაიფარა ქართველების ზე და გამართლდა მოდგმის უუნარობა. ქართველთა მოდგმის მესამედი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე დასახვრეტია, როგორც საქართველოს დაუძინებელი მტერი. სხვა მესამედი კი მუდმივად კონცლაგერებში უნდა ამყოფო. ქრისტიანობის ნატამალი არაა საქართველოში. როცა ქართველობას პოლიტტექნიკოლოგიებთან შერწყმული კალკირებული იურისპრუდენცია გაფეტიშებული აქვს და იურისტ დედაკაცებზე ლეგენდებს თხზავს, როცა ის ვერ ძლებს სატელევიზიო პროსტიტუციის გარეშე, გამოდის, რომ ის არაა სრულფასოვანი მოდგმა. ფულია ქართველთა ღმერთი. ფულმა გაათენა და დააღამა საქართველოს ჟამი. ფულმა შეჭამა ქართველობა. ქართველებმა ნააგეს საკუთარი ქართველობისათვის ბრძოლა და განგება მათ მახვილის კერძად აქცევს. ყიზილბაში და ოსმალო რომ ნამოდგნენ სამარიდან თბილისის საოხრებლად, ლეკის მარბიელი რომ გაესიოს ქართლ-კახეთის სოფლებს, ისევ ის მხიარულება იქნება, რაც ახლაა. საუკუნეები ისე გასულა, ქართველებს

ნუმებეში უცხოვრიათ და რაღა გასაკვირია, თუ ისინ ბოლო  
25 წელი ასე არიან? რამდენჯერმე თქვეს, რომ 9 აპრილს  
როდიონოვს ჯარს არ უქნია ისეთი სისასტეები, როგორიც  
ქართველებმა ქნეს 2011 წლის 26 მაისს მიტინგის  
დარბევისას. არაფერი კი არაა გამოძიებული. 2013 წლის  
26 მაისს კი ბუქნა და მღერა იყო თბილისში. პარლამენტის  
ნინ, ამ დაწყევლილ ადგილას კონცერტი იყო. ან როგორ  
მივიღენ საკონცერტოდ? აი ასეთება არიან. 1992 წლის  
(როდე არ დაჩასწება) საქართველოს.

იგანიშვილი გაიქცა პოლიტიკიდან. მან ვერ შეძლო პრემიერ-მინისტრობა და ამის დასაფარად ათას რალაციას იღონებენ, რომ ის „სამოქალაქო სექტორში გადავა და მოქმედების მეტი თავისუფლება ექნება“, „საერთო სამოქალაქო სხეულში იქნება ჩვენთან ერთად“ და სხვა მისთან ნათევამები. იგანიშვილი ფარაონივით მიუწვდომელი იყო და ასე დარჩა. ის სულ იმაღლება. მან არ განაცალკევა უშიშროება და პოლიცია. ყველაფერი ისევ ისე დარჩა. დასუქებული პარლამენტარები და მინისტრები კი იუმორისტულ გადაცემებში სხედან. პარლამენტში ტრიალს სკამებზე ქანაობენ გამაძლარი სახეებით. 2007

ნოის 7 ნოემბრის მიტინგის მხეცური დარბევის შემდეგ  
საქართველოს ტელეარხებს წლობით არ ვუყურებდი.  
ივანიშვილის მოსვლისა და წასვლის შემდეგ ტელევიზია  
იგივე დარჩა. ვერ გარდაქმნეს ტელეარხები. ესეც ვერ  
შეძლეს.

ქართული პარლამენტარიზმი 1992 წლიდანვე არის ბანდიტიზმი. პარლამენტი დიდ ტეირთად ანეს ქვეყანას. ქართული პარლამენტარიზმი პარაზიტიზმია. ეს არის დაკანონებული უსაქმურობისა და მფლანგველობის დაწესებულება. ეს არის კორუფციის დაწესებულება, სადაც დიდი ფული და პოლიტიკა ერთურთს ერწყმის. ეს კოპაბიტაციური პარლამენტი 4 წელი იქნება და ტყუილად იქადიან ახალი საპარლამენტო არჩევნების გამართვას. კოპაბიტაცია არ დასრულდება. ის გაგრძელდა საპრეზიდენტოარჩევნების შემდეგაც. აიამდენიქართულად მოლაპარაკე დევენერატის ფუთფუთი, ქონდრის საცეპის ციკლოპური პრეტეზიები და თავალფუდასხმულთა ზებობრივი რადიკალიზმი საქართველოს საზოგადოებად აქცევს. საქართველოს ტელევიზია სიცილით აქტებულია. აქეთ როდესმე გამოიხედავს ან აფაზი და ან ოსი? აქედან მაღალ სომხეთი და აზერბაიჯანებულიც გაიცევიან.

2012 წლის დეკემბერში თარხან-მოურავი ირწმუნებოდა: მე ვიცი, რომ სააკაშვილს იანვარში დააპატიმრებენ. არ დაიჭრენსააკაშვილს. ხახვივთმერჩამასყველაფერი, ისევე როგორც შევარდნაძეს შერჩა. მხოლოდ საქართველოში არის შესაძლებელი, რომ ციხეში პატიმრების წამება გადაიღო, ამაზე იცინო, ილაყბო, ანეკდოტები თითხნო გაზრდობი.

თქვენ რომ მოხვიდეთ ქვეყნის სათავეში თარჩან-  
მოურავის მოდასენო, პატრიოტული ბალაგანის  
და მაყენებელნო, გაქვთ სამაგისო გაბედულება,  
რომ ამდენი გარენარი და გამცემი დილეგში  
ჩაყაროთ? თუ მხოლოდ ლაპარაკობთ და სულ  
ეს არის? ორი მილიარდერი – სააკაშვილი და  
ივანიშვილი იძრდვიან და ამასაა გადაყოლილი  
მთელი ეს დარჩენილი საქართველო. ასე  
არ გააკეთებენ სომხეთში, რომელსაც  
ჰყავს ათობით მიღლიარდერი და მიღლიონერი  
ამერიკასა და რუსეთში. ამას არ გააკეთებენ  
აზერბაიჯანში, რომელსაც ჰყავს ათობით  
მიღლიონერი და მიღლიარდერი. არ დაიჭრენ  
სააკაშვილს. ნუ გაქვთ ამის იმედი. თავისი  
ჭყანისა ქნა სააკაშვილმა და 10 ნელი თავზე  
ჩამოცმული ჰქონდა ქვეყანა.

„ნინაალმდეგობის მოძრაობა“ 2012 წლის 19 დეკემბერს გარდაიქმნა „პატრიოტთა ალიანსად“. ალიანსი ამას ვერ არ შეიძლო რაოდ ის „უნიტა ათონისტების რამინიტის კარგიდან“

ერქენავა, რადგან ეს ცხენი გულისხმობს რამდენიმე პარტიის გაერთიანებას. თარხან-მოურავის პარტიასთან კი არავინაა გაერთიანებული. სტუმრადაც არავიდა ამიღენა პარტიისგან. მე იქ ვიყავი 19 დეკემბერს, დამჯურებულ ყრილობაზე და რაც უნდა თქმულიყო, ის არ ითქვა. სახელმძღვანელი, ის რომ ივნისშვილის ხელისუფლება არაა ქართული იდეის მცველი და ალიანსის შექმნა როგორც მისი ოპოზიცია. სანაც ეს ყრილობა ჩატარდებოდა, მანამდე ვიცნობდი სოსო მანჯავიძეს და თავის მოწვენების მეტი მისგან არა დამინახა რა. აյ მას ხელი რამდენიმე სიტყვას ვიტყვი. მან გაცონბისთავაც ტყუილების კორიანტელი დააყენა. 2013 წლის აპრილში ეს ვირთაგვა ნაძალებებში სადებუტატო არჩევნებისათვის იყრიდა კრწბ. იქადიდა, რომ პარლამენტს დავშვლიო. ვინ დაგამლევინებს? ეს პარლამენტი დიდანს იქნება, სანაც ხალხი არ აჯანყდება. ეს პარლამენტი არის კიდევ ერთი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. „ოცნების“ დებუტატები გაიყიდნენ და დაიმალნენ. ერთი სისტემის ორი ნანილია ეს „ქართული ოცნება“ და სააკადემიულის პარტია. მანჯავიძეს ვინ დაამლევინებს ამ პარლამენტს, რომ გამხდარიყო დებუტატი? რას იგონებს? მანჯავიძე არის ერთი დაუნდობელი, შურით გატენილი მდაბიორი, რომელმაც ისწავლა პოლიტიკაზე ლაპარაკი, ქართველად თავის მოჩევნება და ტელევიზიაში ტურა-მელობს. ტელეგადაცემაში ეგულითადება ქვეყანას და ქართველობს. ის გულმოდგინედ მაღას თავის პოლიტიკურ ნარსულს. ვეითხე და არ მოისურვა ამაზე ლაპარაკი. თუ არ ვცდები, ის ან აკაე ასათანის პარტიიდანაა, ან ძველი ედპ-ელია. ამის გარდა მანჯავიძეს ორჯერ ვეითხე, სად იყო ადრე თარხან-მოურავი. მან მიპასუბა, რომ ბაზონი დავითი არის ისტორიკოსი, მათემატიკოსი და პროგრამისტი და ლექციებს კითხულობდა. მანჯავიძე მაღავს, რომ თარხან-მოურავი იყო შევარდნაძის დიდმოხელე-მებაჟე. საქართველოს არ ჰყავს ქართველები. მას ჰყავს ქართულად მოლაპარაკე აფერისტები და პოლიტიკური მედლეურები, რომელიც მეტისმეტი სიბევრის გამო თავის თავს სადგენისგ ფასად ჰყიდიან. ათეულობით ნელი ასე გრძელდება. იმის მტკიცება, რომ კომპარტიაში შედიოდნენ ანგარების გამო და ლიბერალიზმის დროს პარტიებში შევიღოდნენ იდეის გულისათვის, იყო მცდარობა. ხომ გაიტანეს თავისი ამერიკელებმა და ქართველები მათივე გამყიდველობის გამო მერამდენედ თავის დაკრულზე ათამაშეს. საქართველოს პრეზიდენტი სინამდვილეში არის ამერიკის ელჩი საქართველოში. ეს კოლაბორაციონიზმია და ვითომ ოპოზიციონერი დებუტატები დუმან ყველაფერზე. ისინი ემაღლებან ხალხს. მანამდე კი სულ მიტინგობდნენ პარლამენტში მოსახველრად.

25 წლის ნაავგაზეკარი, ქართველთა ამდენი სირცხვილი  
მხოლოდ სისხლით მოიწმინდა და არა რეალურმიტითა



**დავით თარხან-მოურავის ცრუ კატრიოტიზმის გამო**

და არჩევნებით. საპრეზიდენტო არჩევნები, რისიც ასე ემძელებოდა ამდენ ხალხს, არ ყოფილა. ეს იყო ბლეფი. რატომ თავიდანვე არ შეეჭვდნენ, რომ ეს ბლეფი იქნებოდა? რამდენი იძახეს: „ოქტომბრამდე მოვითმინოთ!“. ეს არჩევნები იყო ფარული შეთანხმება ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის. ხომ იყო ეს საპრეზიდენტო არჩევნები და რა? აი ასე ნანატრი და დაქადნებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც საქართველო დარჩა ისეთივე, როგორიც იყო. მარგველაშვილი პრეზიდენტად დანიშნება. მის წინასაარჩევნო ბუკლეტებსა და გაზეთებში ეწერა, რომ ის უკვე იყო პრეზიდენტი. არჩევნები იყო კიდევ ერთი ფალსიფიკაცია. მოხდა ძალაუფლების ხელახალი უზურპაცია და ახალი მონოპარტიული პლუტოკრატიის გაჩენა. რისი დემოკრატია? ერთადერთი გამოსავალი არის სახალხო აჯანყება, ქართული რევოლუცია. აი ამას კი ვერ იტყვის თარხან-მოურავი და მისი გარემოცვა, რადგან ისიც ამ წყეული სისტემის ნაწილია.

ამდენი პოლიტიკოსი, ამდენი პარტია, ამდენი წიგნი და გაზეთი და ბოლოს რაღაც ხომ უნდა დადგინდეს? ერთ საკითხში მაინც ხომ უნდა ჰქონდეთ ქართველებს ერთი პირი? ხომ უნდა იყოს სადმე მართლა ავტორიტეტული მცოდნე ქართველი? ვერაფერი საკუთარი ვერ დაადგინა ქართველობამ. მონების ყიყინი ისმის ათეულობით წელი და სულ ესაა. როგორ უცხონი არიან ქართველნი ერთურთის მიმართ, საკუთარი ქვეყნის მიმართ. ქართველებმა საკუთარი ქვეყნან უცხოეთად აქციებ. არაფერი საერთო მათ ერთმანეთთან არა აქვთ. ივანიშვილის ლეგენდაც მალე

გაიცრიცა. ახლა რაღას მოიგონებენ? რაც მოხდა 2003 წელს, იგივე მოხდა ახლაც. შევარდნაძის თავგადაკლული მომხრეები მაშინ ბითურად დარჩენენ. დასავლეთიმა ადჭურება ხელშეუხებლობით შევარდნაც. ვინ რას ეკითხებოდა მის მომხრეებს? ახლა სააკვშილი გააპარეს ასე. ბითურად დარჩა ამდენი „ნაციონალი“. ვისთვის რას ნიშნავს მათი მომხრეობა? არაფერი საკუთარი არაა საქართველოში. ყველაფერი გარედან ინსპირირებულია. წუთისოფლის საუკუნი ჩანჩეურაა ქართველი. აյ მონების ტრიუმფატორობა არასოდეს დამთავრდება. საქართველოში მოხდა ოლიგარქიული გადატრიალება და კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქართველების მატყუარა და მოძალადე ზენ. მოეწყო კიდევ ერთი შეტყმულება ქართველთავე თაოსნობით. იგანიშვილის პარტიის დანიშნულება ისაა, რომ ის დადგა სააკვშილის მცველად და მიაჩემათა მისი პარტიის დანაშაულებინ. ასევე სააკვშილის პარტია იდგა შევარდნაძის მცველად. სხვაგვარად ამერიკელები არ მიუვებდნენ „ოცნებას“ იმ ქვეყნის სათავეში, რომელიც აშშ-ს არაოფიციალური შტატია და ამდენი ლაპარაკი, რომ ჩვენი თავი ჩეგნადვე უნდა გვეყუდნოდეს, არის საძალობა. ყველაფერი გამოქმულია, ნაბილწულია. არც რწმენა, არც კულტურა. მხოლოდ პოლიტიკური ბალგანი.

ტაქტი და სოლიდარობის განცდა რომ ყოველთვის აკლდა ქართველს, ამის კიდევ ერთი დასტურია შემდეგი რამ: როდესაც პატიმართა ნამების ახალი ჩანაწერები იქნა ნაპოვნი, ხალხი მაინც არ გამოვიდა. ტელეარხებზე სახალისო რამერუმები ზედიზედ გადიოდა. ქართველთა მოდგმის ამ დიდი შერცხვენის დროს, შოუმენ ქმრებს ორსული ცოლები სტუდიაში მიჰყავდათ, ხელგადახვეულნი ისხდნენ და სიცილით ჰყვებოდნენ როგორ გაატარეს თაფლობის თვე უცხოეთში. სხვა ცოლ-ქმარნი კიდევ სხვა სტუდიაში ბუქნავდნენ და იცინოდნენ. უარესი ამბავი რომ მომხდარიყო, მაინც ასე იქნებოდა. განა აფხაზეთის ომის ნაგების შემდეგ სულ სიცილი არ იყო?

თარხან-მოურავი და ინაშვილი ბევრჯერ წასულან ევროპაში და სააკაშვილის დანაშაულებათა ამსახველი დოკუმენტები წაუღიათ. ხომ ბევრჯერ იყავით და ყური არავინ გვიდოთ. არად აგდებონ საქართველოს და მაინც დადიხიართ და იმედი გაქვთ, რომ დასავლეთში ყურად იღებენ ქართველთა ვაჟას. არც ამბობთ, არც აჩვენებთ, ვის შეხვდით იქ. არ დააჭრინებს დასავლეთი სააკაშვილს. ამაზე უარესი ისაა, რომ ქართველობაა კოლექტური სააკაშვილი, რაც ადრეც ვთქვი. ნედა თოხარიკობთ ევროპაში და შესცეკერთ მას. ქართველებში გადით, ხალხში იარეთ. განა საარჩევნოდ, არამედ ქართული იდეის გულისითვის. ეს არ შეგიძლიათ. კავკასიოლობაზე, ქართლზე ილაპარაკეთ და არა დემოკრატიაზე, არა ევროპაზე. განა გვერდით არ დაგიდებოდით, მარა დიდად ხინჯაინები და რიოშნი ხართ.

გახსოვთ თქვენ, როგორ იქადიდნენ ახალმოსული ნაციონალები აფაზზ სეპარატისტების გასამართლებას? ითქვა, რომ 200 ტომი დოკუმენტები გაიგზავნაო ევროპაში. წლები გავიდა. ევროპამ არაფერო თქვა აფხაზებზე. შემდეგ ტელევიზიამ აჩვენა აეროპორტში მდგარი თონა ხიდაშელი ჩემოდნით და ითქვა, რომ დამატებითი დოკუმენტები მაჟვსო ევროპაში. ეს იყო კიდევ ერთი მარცხი. შემდეგ აღმო თქმულა, ხიდაშელის ჩატანილი ის დამატებითი დოკუმენტები ვინ განიხილა. ქართველთა მკვდარი და ცოცხალი არად ჩააგდეს ევროპის სასამართლოში. ასევე იყო მაშინაც, როცა თქვენ იქ იარეთ და სააკვშილის მახსილებელი დოკუმენტები დაგქონდათ. რატომ არ არის განსჯის საგანი ანალიტიკოსთა შორის ის, რომ ევროპამ უურიც არ შეიძერტყა აფხაზებთის ომის მასალებზე?

და იმხილებით შენ და მძინარაშვილი. ეს საეთორო პათოგენურობაა. განა საომარი ვითარებაა, რომ ასე იქცევით.


„ობიექტივში“ ხშირად გამოდიან უცოდინარი უზრნალისტები. მაგალითად, ილია ჩაჩიბაძამ 2013 წლის აგვისტოში, როდესაც სირიაში ქიმიური იარაღი გამოიყენეს, ბაშარ ალ-ასადს დიქტატორი უწოდა. არადამაჯერბელი იყო, რომ ეს იარაღი გამოიყენა ასაღმა, როგორც დასავლეთის მედია ირწმუნებოდა. განა ახლა 90-იანი წლებია, რომ ვინმეს დიქტატორობაზე ასეთი ლაპარაკი ღირდეს? ეს თავმიმწონე უმეცრებაა. სირიაში, ერაყსა და ეგვიპტეში მოისპო ქრისტიანობა და სალაფიტებმა დაანგრიეს ეკლესიები. ქრისტიანები კი ან დახოცეს, ან გაყარეს ქვეყნიდან. თბილისში შემოსახლდნენ ასობით ეგვაზტიდან დევნილი კოპტები. თუ ასადი დაემხობა, განა სირიაში დემოკრატია იქნება? სადაა დემოკრატია ერაყში, ლიბიაში, ეგვიპტეში, იემებში? ასადი თუ დაამხო „ალ-ყაიდაშ“, სალაფიტები აქაც მოვლენ. ორი დღის მანქანის სავალია სირიიდან აქმდე. ეს არის 970 კილომეტრი მანძილი. საქართველოს ნახევარმილიონიან აზერბაიჯანულ დიასპორაში რომ რამდენიმე ასეული სალაფიტი მებრძოლი გაჩნდეს, ქართლს შავად გაუთენდება. ეს დიასპორა გაუცხოებულია საქართველოსგან და მხოლოდ ნომინალურად შედის საქართველოს შემადგენლობაში. მე მივლია ბორჩალოში და ვიცი, იქ რაც არის. ლამის ყოველ კილომეტრში მეჩეთი შენდება, რითაც გამოხატულია, რომ ეს ისლამის მინაა, იმის მიუხედავად, დაბა-სოფლებში სალაფიტები არიან თუ არა. რამდენიმე მოხუცის გარდა ქართული არავინ იცის. არ სწავლობდენ ქართულს ბორჩალოს სოფლებში. დიდი ფულია გადახდილი ფარულად, რომ მეჩეთების მშენებლობაში ბორჩალოელებისათვის ხელი არავის შეეძალა. ქართველთა გამყიდველობის მიზეზით ხდება ეს ყველაფერი. ჩემთვის უჩვენებიათ ბორჩალოელებს ბაქოში ცოტა ხნის ნინ დაბეჭდილი დიდი აზერბაიჯანის რუკა. თავისი საკუთარი იდეა აქვთ აზერბაიჯანელებს და სომხებს. სულ მალე წილს ჰყოიან ისინი ქართლის მიწებზე. ქართველები კი ნაცარქექიობენ და ტაშფანდურობენ. საპასპორტო ინტერვენცია განხორციელდა ჯერ კადევ საქართველოს შემადგენლობაში მყოფ ყაზბეგში. იქ ხალხს რუსეთის

ერთი დრო შეიძლება ამხილო ხელისუფალი მრუდობაში, მაგრამ სულ მხილება როცა არის და მაინც უარესადაა ყველაფერი, მაშინ ეს უკვე სიმრუდის გამართლებად იქცევა. აზრს ჰკარგავს შურნალისტიკას არსებობა და ის გადაიქცევა შოუ ბიზნესის ნანილად, როგორც ეს საქართველოშია. ქართველთა განუწყვეტლი ლაყაფითა და უნიათობით გამართლდა საკაშვილი ისევე, როგორც შევარდნახ. ამ მხილებით კი არ გასამართლდა, არამედ გამართლდა საკაშვილის ყველა დანაშაული და თავად მხილება კი თავშესქაცევად იქცა. ვერ დაატუსაღეს, თითოც ვერ დააკარეს და გაპარეს საკაშვილი. აი ესაა ქართული მართლმასაჯულება.

კარგახანს ვიცდიდი და ეს წერილი აქამდე არ გამოვაქვეყნე, რადგან თარხან-მოურავიანები იტყოდნენ, რომ აი, დახეთ, როგორგვებრძვიანო სააკაშვილისაგენტები. ახლა გამოვიდეს რომელიმე მათგანი და შემედავოს.

გორგა გვასალია,  
ლეკამბერი, 2013 წ.  
(დაიბუჭითა მკირეფი შემოკლებით)

ଶ୍ରୀକୃତ୍ତିବ୍ରାହ୍ମମନ୍ଦିର  
ପାଇଁରୁବାଲ୍ଲକ୍ଷ୍ମୀଙ୍କା...



გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქცია  
ლრმა მწყხარებით იუწყება, რომ 95 წლის  
ასაკში ამერიკაში გარდაიცვალა „პეტრე  
ხვედელიძე საფრანგეთისა და ამერიკის ძველი  
ქართული ემიგრაციის ცოცხალი მატეანე“  
(როგორც ციცინი ჯერვალიძე აღნიშნავს  
მასზე დანერილ წიგნში „პარიზიდან  
ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“).  
ბატონი პეტრე 1941 წელს რუმინულ  
სოფელში გერმანია-საბჭოთა კავშირის  
ომის დროს ტყვედ ჩავარდნის შემდგომ,  
ავსტრიასა და გერმანიის საველე  
საავადმყოფოებში მკურნალობაგვლილმა  
უარი თქვა რა ჰიტლერის ნერილობით  
შეთავაზებაზე ქართველებს საბრძოლო  
„ესესეში“ ემსახურათ, სხვა ქართველ  
თანამებრძოლებთან ერთად საფრანგეთის  
ქართულ ლეგიონში გადასულა. მას შემდეგ,  
1956 წლამდე ბატონი პეტრე ცხოვრობდა და  
მუშაობდა საფრანგეთში, ხოლო 1956 წლიდან  
კი ამერიკაში გადავიდა და რადიო „ამერიკის  
ხმის რედაქციაში“ დაიწყო მუშაობა,  
სადაც პენსიაში გასვლამდე მოღვაწეობდა.  
ბატონი პეტრე გახლდათ საქართველოს  
ქომაგი, იგი დიდი სიხარულით მიესალმა  
საქართველოში ეროვნული პრეზიდენტის  
ზვიად გამსახურდიას მოსვლას. იგი ბევრს  
მუშაობდა საქართველოს ეროვნული  
მთავრობის მხარდასაჭერად. მისი ამერიკული  
საცხოვრისის კედელზე დღემდე საპატიოდ  
ჰკიდია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ  
კოსტავას სურათები.


ბატონ პეტრეს, ამ ულამაზეს მამაკაცს,  
სამწუხაროდ ოჯახი არ ჰყავდა, მან  
მარტოსულობაში განვლია თავისი  
ხანგრძლივი ემიგრანტული სიცოცხლე,  
მისი ერთადერთი ფიქრი და საზრუნავი  
საქართველოიყო...ქართველი ერი გულსავსედ  
იმედიანად ვართ, რომ ბატონ პეტრეს,  
გარდაცვალებულსაც, შვილისმიერ უანგარო  
მზრუნველობას გაუწევს სიცოცხლეშიც მისი  
მეურვე, ასევე დიდი ქართველი და უსათნოესი  
ქალბატონი ციცინი ჯერვალიძე და მის  
ცხედარს იმ ქართულ მიწასაც დააყრის,  
რომელიც ბატონმა პეტრემ საქართველოს  
მონახულების დროს, საგანგებოდ და სწორედ  
ამ უკანასკნელი უამის ნეტარი სურვილით  
ჩაიტანა...

ნათელში იყავ საქართველოს დიდო ქომაგო  
და უსაყვარლესო ქართველო - „ძია პეტრე“!  
ჩვენი გული სავსეა მწუხარებით, თქვენ  
დაგტირით საქართველოც...

ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା ପରିଚୟ

პირდაპირ გეტყვით, რომ არც ერთი წამითაც არ დავფიქრობულვარ იმაზე, თუ საიდან, რომელი გაზეთიდან მინდოდა მიმელოცა ქართველი ერისთვის მისი საყვარელი შეილის - ზეიად გამსახურდიას დაბადების დღე.

ცხადია, ეს უნდა ყოფილიყო გაზეთი „განმათავისუფლებელი”, რომელსაც გამოსცემს ქალბატონი ლეილა ცომაია წლების განმავლობაში, გამოსცემს მხოლოდ ღვთის იმედით, ნაცნობ-მეგობრების დახმარებითა და უცეპ გამოჩენილი შემთხვევითი კეთილი სპონსორებით.



მე შევთავაზე ქალბატონ ლეილა ცომაიას რომ  
დაეხეჭდა ფოტო, რომელზეც გამოსახულია მთლად  
ნორჩი ლეილა ცომაია თავისი ორი დიდი და დიადი  
თანამებრძოლის - ზეიად გამსახურიდასა და მერაბ  
კოსტავას გვერდით.

სამწუხაოროა რომ მან ამ ფოტოს დაბეჭდვაზე  
თავი შეიკავა, რაც მისი თავმდაბლობისა და  
მორიოგების მაჩვანეობით.

გილოცავთ, ქართველებო, ზვიადის დაბადების დღეს!

თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ ამხელა  
მასშტაბისა და ასეთი ფაქტიზი გულის პატრონს  
ღმერთი საუკუნეში ერთხელ უგზავნის ერს,  
მაგრამ შევთხოვოთ ზეციერს ”ამ ერთხელ დაუშვი  
გამონაკლისი, რადგან ძალიან გვჭირდება და მალე  
მოგვიყლინება ახალი ზვიალი და ახალი მერაბი” - თქმ.


უკვე ვწერდი იმის თაობაზე, თუ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში ძალიან მოხუცებულმა

**სომხეთი, კვლავ არასაიმედო გეზოგლად რჩება...**

„16-მა ქვეყანამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში დევნილთა დაბრუნებას მხარი არ დაუჭირა“  
2014 წლის 27 მარტს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიღლო რეზოლუცია საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში დევნილთა დაბრუნების მხარდასაჭერად. 63 მომხრე, 16 წინააღმდეგ. მოწინააღმდეგებების სია :

1) რუსეთი 2) ვენესუელა 3) ნიკარაგუა 4) ნაურუ 5) ბელორუსი 6) სერბეთი 7) კუბა 8) სომხეთი 9) სირია 10) ვიეტ-ნამი 11) ჩილე 12) ლაოსი 13) სუდანი 14) ბირმა 15) შრი-ლანკა 16) ზიმბაბვე.”

Եյտութեան: <http://www.tzona.org>



## საქართველო და კავკასიის ხალხები

საქართველო ყოველთვის იყო კავკასიის ხალხთა პოლიტიკური აქტივობის უამს იმედის წყარო. 1930 წლის გაზაფხულზე დაღესტანში აჯანყება დაიწყო. დიდოელი ხალხი უკმაყოფილო იყო რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის პირობებში მისი კულტურული და მატერიალური განვითარების მდგომარეობით, რასაც თანდაერთო კოლექტივიზაციის ფორსირებული ტებები. ძალზედ საყურადღებოა 1930 წლის 7 აპრილს მახარებალიდან მოსკოვში გაგზავნილი მკაცრად საიდუმლო შიფროტელეგრამა, რომელსაც ხელს აწერენ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დაღესტნის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ი. მურავიოვი და დაღესტნის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. კორქმასოვი. მასში იაღნიშნულია: „აჯანყებულებმა თბილისში გაგზავნეს დელეგაცია, რათა მოილაპარაკონ დიდოეთის საქართველოსთან შეერთებაზე“. იმუამად საქართველოს სსრ ხელმძღვანელები იყვნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრული მდივანი მიხა კახიანი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე და საქართველოს სსრ საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია. დიდოელი აჯანყებულები ქართველ ბოლშევიკებთან როგორ მოილაპარაკებდნენ დიდოეთის საქართველოსთან მიერთებაზე, მაგრამ თავად ფაქტი დიდოეთში აჯანყებისა და მისი საქართველოსთან შეერთების სურვილისა, ნათლად ადასტურებს თუ რაოდენ დიდი იყო ყოველთვის მათი იმედი საქართველოსი.

# ვლადიმერ პუტინის ამხანაგები

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაშ არც  
თუ დიდი ხნის ნინ აკრძალა არასრულწლოვანთა  
შორის პომოსექსუალიზმის პრობაგანდა. ამ  
აქტის მიღების შემდეგ რუსეთის ფედერაციის  
პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი „ცისფერი  
მაფიის“ მიერ №1 „პომოვობად“ იქნა  
გამოცხადებული. ვლადიმერ ვლადიმერის  
ძეს ამ „ტიტულმა“ მოსვენება დაუკარგა და  
გადაწყვიტა „ცისფერი მაფიისთვის“ ეჩვენებინა,  
რომ არც მთლად ისეა საქმე, არამედ ისიც  
ტოლერანტულია პომოსექსუალიზმის მიმართ.  
სოჭში დაგეგმილი ზამთრის ოლიმპიადის  
დროს „ცისფერი მაფიის“ მხრიდან მომდინარე  
საფრთხის გასანეიტრალებლად, ვლადიმერ  
პუტინმა გაზეთ „Комсомольская Правда“-ში (2014  
წლის 24–30 იანვარი №4) განაცხადა: „მსოფლიოს  
ერთ მესამეზე მეტი სახელმწიფოებისაგან  
განსხვავებით რუსეთში არ არის სისხლის  
სამართლებრივი პასუხისმგებლობა  
არატრადიციული სექსუალური

ორიენტაციისთვის...  
ჩემთვის სულერთია რა სექსუალური  
ორიენტაციისაა ადამიანი. ზოგიერთ მათგანს მე  
ვიცნობ და მათთან აპსოლიტურად ნორმალური,  
მე ვიტყოდი კიდეც ამხანაგური ურთიერთობაც კი  
მაქვს“.

ეს სიტყვები ადასტურებს თუ რაოდენ  
გრძელი და მსახვრალი საცეცები აქვს „ცისფერ  
მაფიას“. ბირთვული სახელმწიფოს მეთაურის  
იძულება საჯაროდ განაცხადოს, რომ მას  
ჰომოსექსუალისტი ამხანაგები ჰყავს, ნათლად  
ადასტურებს თუ რაოდენ ღრმად ეშელონირებული  
და გავლენიანია „ცისფერი მაფია“, რომელსაც  
აგრესორი და ოკუპანტი რუსეთის ფედერაციის  
პრეზიდენტი შეუძლია უგვანო პირფერად  
აქციონს. „მორჩმუნის“ ნიღაბი ველარ დაფარავს  
შეშინებული და დამცირებული ვლადიმერ  
ვლადიმერის ძის სახეს. მისი ბაქიბუქი რუსი  
ხალხის კულტურული ტრადიციების დაცვაზე  
გაცამტვერებულია. ვლადიმერ პუტინის  
ამხანაგები მის ნამდვილ სახეს წარმოაჩენენ.

ლავით არაპირა

## წმ. ღიორსი მამა გაბრიელ აღმსარებელი-სალოსის საფლავის გახსნა და ლუსკუმით თბილისის საძების საკათედრო ტაძარში გადამტკიცება

22 თებერვალს, შაბათს გაიხსნა მცხეთის სამთავროს მონასტრის ეზოში დაკარგდა ლუსკუმი წმ. ღიორსი მამა გაბრიელ აღმსარებელი-სალოსის საფლავი და მისი წმინდა ნანილები ჩავანებულ იქნა მისთვის საგანგებოდ განმზადებულ ჩუქურთმოვან ლუსკუმი, რის შემდეგაც იგი სვეტიცხოველში გადააპრძანეს. წმინდა ცერემონიალს ამ დღეს დაესწრო ასეულათასობით მართლმადიდებელი, რიმლებიც ჩამოსული იყვნენ სრულიად საქართველოდან. საპატრიარქოს გადაწყვეტილებით მამა გაბრიელის წმინდა ლუსკუმა 24 თებერვალს გადმობრძანებულ იქნა თბილისის სამების საკათედრო ტაძარში და თავდაპირველი გადაწყვეტილებით იგი 3 მარტამდე უნდა დარჩენილიყო სამებაში, მაგრამ ვინაიდან მომლოცველების ნაკადი, თვით 24-სათიან დღია კარების განმავლობაშიც არ წყდებოდა სამების ტაძართან, საპატრიარქომ შეცვალა წინასწარ განსაზღვრული დრო, რითაც განმუხტა დაძაბულობა მომლოცველებში.

„ვითვალისწინებთ რა ხალხის უდიდეს სურვილს მამა გაბრიელის ნეშტან მიახლებისა და კიდევ იმ მდგომარეობას, რომ მრევლი რამდენიმე საათის რიგში დგომის შემდეგაც ვერ ახერხებს ეკლესიაში შესვლას, საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება, ღირსი მამა გაბრიელ სალოსი (ურგებაძე) კიდევ რამდენიმე კვირით დატოვოს დასვენებული სამების საკათედრო ტაძარში, რათა ხალხს თავისუფლად მისვლის შესაძლებლობა ჰქონდეს“, - ნათევამი იყო საპატრიარქოს განცხადებაში (27 თებერვალი, 2014).

ამავე დღეს გავრცელდა საპატრიარქოს მეორე განცხადებაც:

ვითვალისწინებთ რა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დიდ სურვილს წმინდანთან მიახლებისა, მათთვის ხუთშაბათს, 27 თებერვალს, 12 საათიდან 17 საათამდებოდ გადახდილი იქნება საჯანმრთელო პარაკლისები და დაილოცებან მომსვლელნი. თუმცა, რა თქმა უნდა, მათ სხვა დროსაც შეეძლებათ ტაძარში მობრძანება.

მამა გაბრიელმა მრავალი სასწაული აღასრულა და ღვთის მადლით კვლავაც ბევრს აღსრულებს. მისი ლოცვა და ღვთის წინაშე მეოზება შეეწიოს სრულიად საქართველოს.


27 თებერვალი.

ქართველი წმინდანის ღირსი მამა გაბრიელ აღმსარებელი-სალოსის წმინდანილები ამ ერთი თვის განმავლობაში მოილოცეს ორ მილიონზე მეტმა ადამიანმა, მათ მორის, საქართველოში მცხოვრებმა არამართლმადიდებლებმაც და ჩამოსულმა უცხოელებმაც.

“მამა გაბრიელის სხეულის წმინდა ნანილები სამების საკათედრო ტაძარში 20 აპრილამდე დარჩება. ამის შესახებ საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც საპატრიარქოში აცხადებენ, წმინდნის ნანილებს, რომელიც სამების ტაძარშია დაპრძანებული, დღე-ღმეში 70 ათასმდე ადამიანი მოილოცავს, სწორედ ამის გამო მიიღო კათალიკოს პატრიარქმა გადაწყვეტილება, რომ წმინდა მამის სხეულის ნანილები ტაძარში აღდგომამდე დარჩება”. <http://newposts.ge/?l=G&id=34497>

ქვემოთ ვაქევენებთ სამების ტაძართან მომლოცველთა სიმრავლის ამსახულ ფოტოებსაც დღე-ღმის განმავლობაში.



დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

ვებგვერდი: <http://ganmatavisuflebeli.webs.com>  
ელ.ფოსტა: [ganmatavisuflebeli@yahoo.com](mailto:ganmatavisuflebeli@yahoo.com)